საინფორმაციო გზამკვლევი

„გამარჯობა,აფხაზეთო შენი...“

ისტორიული ძეგლები აფხაზეთში

აფხაზეთის ტერიტორია დღესდღეობით ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

ბედიის მონასტერი მდებარეობს ოჩამჩირეში,სოფელ ბედიაში. “დადიანთა ქრონიკისა“ და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით აგებულია ბაგრატ მესამის მი ერ და თარიღდება 999 წლით.“წელსა შჟთ ბაგრატ,ძემან გურგენისამან,ბედია აღაშე ნა“.აქვეა დაკრძალული გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ მე სამე და დედამისი გურანდუხტი.

ბედიის ბარძიმი მრგვალი ფორმის უძირო თასია.გამოჭედილია ხალასი ოქროს ერტი მთლიანი ზოდისაგან.პირის კიდეებზე გარედან გამოყოფილია გლუვი ოლე, სად აც მაცხოვრის გამოსახულების მარჯვ ნივ,მთელ სიგრძეზე ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა,რომლის მიხედ ვით აფხაზთა მეფე და დედამისი გურან დუხტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერვე ახლადაშენებულ ეკლესიას.

ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ოჩამჩირეში,სოფელ ილორში.თარიღდება მეთერთმეტე საუკუნით.ტაძარი დარბაზული ტიპის ნაგებობაა სხვადასხვა პერიოდის მინაშენებებით.აღმოსავლეთ ფასადზეშემონახულია ხუთი წარწერიანი ქვა.მეთვრამეტე საუკუნეში ლევან მეორე დადიანმა შეაკეთა ტაძარი,ხოლო 1730 წელს თურქებმა შემოსევის დროს გადაწვეს,ხანძრის შედეგად განადგურდა ფრესკები,თუმცა და დიანებმა მალევე აღადგინეს.ოკუპაციის შემდეგ ტაძარი რუსულ ეკლესიად გადაკეთეს.

ილორის წმინდა გიორგის ხატი წარმოადგენს სამკარედიან დასაკეც ხატს,რომლის წინა ნაწილზე გამოსახულია წმინდა დიმიტრი და წმინდა თეოდორე, განმარტებითი ძველქართული წარწერებით. ხატის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია წმინდა გიორგი საომარ სამოსში,ხოლო მარცხნივ ბედიელი მიტროპოლიტი კირილე ჟუანისძე,ვედრების პოზაში.ყველა გამოსახულებას ახლავს განმარტებითი წარწერა,ხოლო ლუსკუმაზე იკითხება თხუთმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც გვიამბობს მიტროპოლიტის მიერ ტაძრისათვის ხატის შეწირვის ამბავს.

თამარის თაღოვანი ხიდი მდებარეობს სოხუმში, მდინარე ბესლეთზე და თარიღდება მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებით.თაღის ყოველ საპირე ქვაზე ქართული ასომთავრული ასოებია გამოკვეთილი, ხოლო დასავლეთ კიდეზე ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა იკითხება: „ქრისტე, მეუფეო ყოველთა...ადიდე ორთავე შინა სუფევითა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატ“

გზამკვლევის აღწერილობა

საინფორმაციო გზამკვლევი „ისტორიული ძეგლები აფხაზეთში“მომზადდა სასკოლო კვირეულის „ჩემი თვალით დანახული აფხა ზეთის“ ფარგლებში სსიპ-შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის ხულოს მუნიცი პალიტეტის სოფელ მთისუბნის მოსწავლეების მიერ (ხელმძღვანელი ქართული ენისა და ლიტე რატურის მასწავ ლებელი გ.გორგოძე). ბრო შურის მოსამ ზადებლად მოსწავლეებმა მოიკ ვლიეს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების შესახებ ხელმისაწვ დომი ინფორმაცია გადა ამუშავეს და წარმო ადგინეს პრეზენტაციების სა ხით, ხოლო საკონ კურსოდ მომზადდა გზამკვ ლევი,რომელშიც განთავსებულია ინფორ მაცია ბედიის,ილორის ეკლესიებისა და თამარის ხიდის შესახებ. გზამკვლევის ფორმატმა არ მოგვცა შესაძ ლებლობა უფრო მეტი ინფორმაცია განგვეთა ვისებინა და წარგვედგინა საზოგადო ები სათვის.თუმცა,ვაპირებთ ელექტრონული წიგ ნის შექმნასაც.

აღნიშნული ისტორიული ძეგლები ინფორ მაციას შეიცავს საქართველოს ისტორიისა და კულტურის აფხაზური ნაწილის შესახებ, რაც მიმდინარე კრიზისულ სიტუაციაში მნიშ ვნელოვანია. შესაძლებლობის მიუხედავად, გადავწყვიტეთ რესურსი ერთენოვანი ყოფილიყო, რადგან ამ ეტაპზე ჩვენი სამიზნე ჯგუფი იყო სასკოლო საზოგადოებისა და ადგი ლობრივი თემის წარმომადგენლები და გვინდოდა შეგვექმნა ისეთი საინფორ მაციო პროდუქტი,რომლითაც მათ შევახ სენებდით ისტორიულ სამართლი ანობას,ოკუპაციის დამანგრეველ ძალასა და ისტორიული ძეგ ლების მნიშვნელობას.

ამ მიზნით,ჩვენს ხელთ არსებული რესურ სებითა და ტექნოლოგიური შესაძლებ ლობებით(A-ფორმატის ქაღალდი და სასკოლო პრინტერი)დავბეჭდეთ 30-მდე ბროშურა და დავარიგეთ.აქციას ორმაგი მნიშვნელობა ჰქონ და,პირდაპირი-კვირე ულის მიზნების მიღწევა და არაპირ დაპირი-საზოგადოების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში.ვფიქრობთ,მიზანს მი ვაღწიეთ.

სხვა შემთხვევისათვის შეიძლება მომ ზადდეს და სტამბურად დაიბეჭდოს სამ ენოვანი რესურსი და მივანიჭოთ ტურისტული გზამ კვლევის ფუნქცია,რითაც ხელს შევუწყობთ ტურიზმის განვი თარებასა და ტურისტების მოზიდვას.

აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს...

ეს კაცია,ალბათ,თურქის თემის..

და მე ვყვირი:

ჩემს სისხლს დალევს უწინამც!

და მე ვმღერი:

აფხაზეთი ჩემი!

როსმე არგო(სხვა ხომალდი გუშინაც)

მოაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით...

და მე ვყვირი:

მკვდარსა მნახვენ უწინამც!

და მე ვმღერი:

აფხაზეთი ჩემი!

ზღვაო პონტის! რიფებს მალავ უჩინარს-არაერთის ზედ მიემსხვრა გემი...

და მე ვყვირი:

ოხ,უწინამც!უწინამც!

და მე ვმღერი:-აფხაზეთი ჩემი!

/მ.ლებანიძე/

ლიხნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

მდებარეობს სოფელ ლიხნში,გუდა უთაში.თარიღდება მეათე საუკუ ნით.ცნობილია ქართული წარწერე ბით,რომლებშიდაც მოიხსენებიან სქართველოს მეფეები,ბაგრატ მეოთხე და გიორგი მეორე.1066 წლის წარწერა გვამცნობს ჰალეის კომეტის გამოჩენის შესახებ.შემორჩენილია მე-10-მე-11 და მე-14 საუკუნის ფრესკები.



მოქვის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი.

აგებულია მეათე საუკუნეში.“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ტაძარი აგებულია და კურთხეული აფხაზთა მეფე ლეონის მიერ(957-967წწ.).“აღაშენა ეკლესია მოქვის და შექმნა საყდრად საეპისკო პოსოდ“